სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №8

ქ. თბილისი **2016 წლის 30 სექტემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. აბესაძე ნინო 4. ბარბაქაძე ხათუნა 5. ბერუაშვილი ანზორი 6. გაგელიძე ტარიელი 7. შუბითიძე ვლადიმერი 8. გოგინავა უშანგი 9. თუთბერიძე ბეჟანი 10. მაჭავარიანი ლია 11. გეგეჭკორი არნოლდი 12. ხაჩიძე მანანა 13. თევზაძე ალექსანდრე 14. ბექაური ბექა 15. ბახტურიძე პაატა 16. ბასილაია ანანო 17. ჩეკურაშვილი ნინო 18. თუმანიშვილი გიორგი 19. ცისკაძე მარიამი 20. თოდუა ნონა 21. გარიშვილი მარინა 22. კვირიკაშვილი ბახვა 23. ონიანი თამარი 24. ოქიტაშვილი გიორგი 25. ართქმელაძე თორნიკე (*უფლებამოსილების ცნობის შემდეგ*) 26. მარგველაშვილი ვლადიმერი 27. ხოდელი ნოდარი 28. ჩხაიძე ზურაბი 29. წერეთელი მარი 30. შამილიშვილი მანანა 31. ტუკვაძე ავთანდილი 32. ლორთქიფანიძე ლევანი 33. საბაური შალვა 34. შევარდნაძე თორნიკე 35. ჟვანია ირინე 36. ჩახუნაშვილი ნინო 37. დადეშქელიანი ბექა 38. თოფურია სალომე 39. ლორია კახაბერი 40. გორდეზიანი ლევანი 41. გელოვანი ნანი 42. თაბუაშვილი აპოლონი 43. ბრაჭული ირაკლი 44. ოთხმეზური გიორგი 45. პაიჭაძე თამარი 46. შარაბიძე თამარი 47. მინდიაშვილი თეონა 48. სამხარაძე ლაშა 49. კეჟერაშვილი შოთა 50. ჯავახაძე გიორგი 51. გაიპარაშვილი ზურაბი 52. ღარიბაშვილი ირაკლი 53. სუმბაძე ციური 54. ბაშელეიშვილი ლევანი 55. ქადეიშვილი თორნიკე 56. მაჭავარიანი ნანა 57. წაქაძე სევერიანი 58. ხომერიკი გიორგი 59. რუსიაშვილი გიორგი 60. იოსელიანი ხათუნა 61. ახალბედაშვილი ლალი 62. ალანია ვიქტორი 63. რევიშვილი ზურაბი 64. ხეცურიანი ნათელა 65. ხუციშვილი მარინე 66. ნემსაძე ადა (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. გიორგი შარვაშიძე 2. ირმა ხარშილაძე 3. ირინე ქურდაძე 4. ამირან ბერძენიშვილი 5. გიორგი ღვედაშვილი 6. ომარ ფურთუხია 7. თამარ აბაშიძე 8. რუსუდან სანაძე 9. პაატა იმნაძე 10. დავით გოცირიძე 11. აკაკი ყულიჯანიშვილი 12. დავით კერესელიძე 13. გია ლობჟანიძე 14. ალექსანდრე კუხიანიძე 15. ანასტასია ქიტიაშვილი 16. მარინე ზაუტაშვილი 17. ნათელა ანანიაშვილი 18. ზურაბ ცაგარელი 19. ავთანდილ ამირანაშვილი 20. თამაზ ყარალაშვილი 21. მურმან კვინიკაძე 22. ნოდარ ცინცაძე 23. გაგა ლომიძე 24. დავით მერკვილაძე 25. მედეა ღლონტი 26. გოჩა ფერაძე 27. მამუკა ხუსკივაძე

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს ზოგიერთი წევრისთვის სტატუსის შეწყვეტისა და უფლებამოსილების ცნობის საკითხი

2. „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 მარტის №40/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №94/2016 დადგენილების დამტკიცება

3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილების დამტკიცება

4. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილების დამტკიცება

5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცება

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსმა, დიმიტრი გეგენავამ სხდომის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ. მისი განმარტებით, სამდივნომ გამოითხოვა ინფორმაცია საბჭოს წევრი სტუდენტების, პროფესორებისა და სამეცნიერო პერსონალის თაობაზე სასწავლო პროცესის მართვისა და პერსონალის მართვის დეპარტამენტებიდან. იურიდიული

ფაკულტეტის სტუდენტს, ირაკლი კუპრაძესა და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტს, გიორგი გიორგაძეს ამ დროისათვის აღარ აქვთ სტუდენტის სტატუსი, შესაბამისად, უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, მათ, ასევე, შეუწყდებათ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა. ირაკლი კუპრაძის ადგილმონაცვლე იყო მერი კაპანაძე, როგორც არჩევნებში მორიგი მაღალრეიტინგული მონაწილე, თუმცა, ვინაიდან ეს უკანასკნელიც აღარაა სტუდენტი, მის ადგილს თორნიკე ართქმელაძე დაიკავებს.

1.1. თავდაპირველად კენჭი ეყარა ირაკლი კუპრაძისა და გიორგი გიორგაძისთვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 65
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ირაკლი კუპრაძესა და გიორგი გიორგაძეს შეუწყდეთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი.

1.2. ცალკე ეყარა კენჭი თორნიკე ართქმელაძისთვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის ცნობას. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა პაატა ბახტურიძემ გამოხატა პოზიცია საკითხთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ვინაიდან თორნიკე ართქმელაძეს არჩევნებში მიღებული აქვს მხოლოდ 7 ხმა, ალოგიკურია ასეთი დაბალი მონაცემებით პირი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი გახდეს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 54
წინააღმდეგი: 9

მიღებული გადაწყვეტილება: ცნობილ იქნეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, თორნიკე ართქმელაძის, უფლებამოსილება.

2. ევროპული კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნინო ლაპიაშვილმა წარმოადგინა „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 მარტის №40/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №94/2016 დადგენილება. მისი განცხადებით, ინსტიტუტის დებულებაში განხორციელებული ცვლილებები ძირითადად ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათისაა, რაიმე ფინანსურ დანახარჯს არ იწვევს და შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა აკაკი ყულიჯანაშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 66
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 მარტის №40/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №94/2016 დადგენილება. (დანართი 3)

3. ბატონმა მიხეილ ნიორაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილება. მისი განმარტებით, მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 1980 წელს დაარსდა უნივერსიტეტის წიაღში. იგი დღემდე აქტიურად საქმიანობს, საკმაოდ მჭირო კავშირები აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებთან. ამჟამად ინსტიტუტში 30 მეცნიერ-თანამშრომლამდე მუშაობს, ინსტიტუტის საქმიანობაში ახალგაზრდა მკვლევარები, უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებიც არიან ჩართულნი. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭებით ინსტიტუტს ეყოლება წარმომადგენლობა აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში და მიეცემა შესაძლებლობა, კიდევ უფრო აქტიურად ჩაებას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 66
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილება. (დანართი 4)

4. ბატონმა გიორგი ჯაიანმა წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილება. მან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ და აღნიშნა, რომ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი 1968 წელს ილია ვეკუას თაოსნობით დაარსდა და დღემდე აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა. თანამშრომლობს გერმანიის, აშშ-ის, იტალიისა და სხვა ქვეყნების სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, გამოსცემს 6 ინგლისურენოვან ჟურნალს. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსით ინსტიტუტს ეყოლება წარმომადგენლობა აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 66
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილება. (დანართი 5)

5. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ქალბატონ ნუნუ ოვსიანიკოვას შერჩევის შესახებ და განმარტა, რომ უნივერსიტეტის წესდების თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობითმა საბჭომ უნდა მიიღოს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს საშუალება ჰქონდათ ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის კანდიდატისთვის დაესვათ შეკითხვები. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი ლევან ლორთქიფანიძე დაინტერესდა, რამდენად იქნება შესაძლებელი ბიუჯეტის ფორმირებისა და დამტკიცების პროცედურის დახვეწა და უკეთესობისკენ შეცვლა, ასევე, რა რეფორმები იგეგმება საკადრო პოლიტიკის კუთხით

და როგორ გადაწყდება აუდიტორიების საკითხი, რომელიც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ძალიან აწუხებს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი გიორგი ჯავახაძე დაინტერესდა, როგორც შეიძლება გადაწყდეს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის პრობლემა. ძალზე რთულია საერთო საცხოვრებელში სტუდენტთა პირობები და აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად გადაიჭრას.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების, ბატონების - თორნიკე ართქმელაძისა და თორნიკე შევარდნაძის კითხვა ეხებოდა სტუდენტური ღონისძიებების დაფინანსებასა და ამ მიმართულებით უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრიობას, მათ შორის, ე.წ. ბაკურიანის გასვლითი ვიზიტისთვის დახარჯული 25 000 ლარი და ა.შ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა შალვა საბაურმა განაცხადა, რომ გასვლითი ვიზიტები არ იგეგმება სტუდენტური თვითმმართველობის მხრიდან, რაც შეეხება სხვა სტუდენტური აქტივობების დაფინანსებას, ეს აქამდეც ხდებოდა და არავის ჰქონდა რაიმე დაბრკოლება, მოეთხოვა თავიანთი პროექტების დაფინანსება.

ქალბატონმა ნუნუ ოვსიანიკოვამ ამომწურავად ისაუბრა დასმულ საკითხებზე რამდენიმე მიმართულებით. მისი განცხადებით, ბიუჯეტის ფორმირებისა და დამტკიცების პროცესი აუცილებლად გამჭვირვალე უნდა იყოს და რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაერთოს მასში. რასაკვირველია, ყველა მოთხოვნა სრულად ვერ იქნება გათვალისწინებული, თუმცა შეძლებისდაგვარად, უნივერსიტეტს უნდა შეეძლოს შესაბამისი გამოწვევები და პრიორიტეტები აისახოს ბიუჯეტში. თუკი დღეს არსებული წესი მიუღებელი იქნება, იგი აუცილებლად გადაისინჯება და სექტემბერში ან კიდევ უფრო ადრე დაიწყება განხილვები, რათა დაჩქარებულ ტემპში არ მოხდეს უნივერსიტეტისთვის მთავარი საფინანსო დოკუმენტის მიღება. რაც შეეხება აუდიტორიებს, სამწუხაროდ, ძალზე რთული ვითარებაა, ამასთან, არ არსებობს ერთიანი წესი, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ფართი ფაკულტეტების მიერ. აუცილებელია აუდიტორიები გადანაწილდეს რაციონალურად, დატვირთვებისა და სტუდენტთა რაოდენობების შესაბამისად. არცერთ ფაკულტეტს არ უნდა ჰქონდეს მონოპოლიზებული რომელიმე საუნივერსიტეტო სივრცე, ვინაიდან უნივერსიტეტი ერთიანია და მისი სტუდენტები თანაბარი შესაძლებლობებით უნდა სარგებლობდნენ. საკადრო პოლიტიკის მიმართულებით არცთუ ისე სახარბიელო მონაცემებია, ვინაიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის რაოდენობა მხოლოდ 2%-თაა გაზრდილი, დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის რაოდენობა კი - 12-16%-ით, რაც სერიოზული პრობლემაა. აუცილებელია დეტალური შესწავლა, ყოველ

სტრუქტურულ ერთეულს უნდა დაუდგინდეს კონკრეტული ამოცანები და მიზნები, რის შესაბამისადაც განისაზღვრება მათ შესასრულებლად საჭირო პერსონალის ოდენობა. თავისუფლად შესაძლებელია, აკადემიური პერსონალის მსგავსად, ახალი დახმარე და შტატგარეშე თანამშრომლების მიღებაც კონკურსებითა და შერჩევის წესით განხორციელდეს. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს დაცული სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს ნებისმიერი უსამართლო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. რაც შეეხება საერთო საცხოვრებლებს, 2006 წელს უნივერსიტეტი ახდენდა 5 საერთო საცხოვრებლის ადმინისტრირებას, სამწუხაროდ, მათგან დაგვრჩა მხოლოდ 2, რაც ვერანაირად აკმაყოფილებს საუნივერსიტეტო მასშტაბებსა და მოთხოვნებს. ამ მოცემულობის ფარგლებში, აუცილებელია თანხების მოზიდვა, რათა არსებული კორპუსები გარემონტდეს, ამასთან, შესაძლებელი გახდეს ახალი საერთო საცხოვრებლების მშენებლობა და დატვირთვა. რაც შეეხება სტუდენტურ აქტივობებზე დახარჯულ თანხას, ამ მდგომარეობით 350 000 ლარია ბიუჯეტიდან დახარჯული და ობიექტურად, ეს ძალიან ცოტაა. ფინანსური მდგომარეობა რომ შესაძლებლობას იძლეოდეს, ათჯერ მეტი თანხაც კი შეიძლება გამოიყოს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებისა და საინტერესო პროექტების დაფინანსებითვის. თუმცა ერთი რამ ცალსახაა, რაიმე პრივილეგია არ უნდა მიენიჭოს ვინმეს, ნებისმიერ სტუდენტს თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, წარმოადგინოს პროექტი და მიიღოს დაფინანსება. უნივერსიტეტი მხოლოდ სასწავლო დაწესებულება არ უნდა იყოს სტუდენტისთვის, მას უნდა შეეძლოს სტუდენტის არაფორმალური განათლებისა და განვითარებისთვის ხელის შეწყობა და სოციალური ინტეგრაციის წახალისება.

კითხვა-პასუხის რეჟიმის დასრულების შემდეგ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცების ფარული კენჭისყრის პროცედურა გააცნო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა გვანცა ხასიამ, რის შემდეგაც ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს 62-მა წევრმა. ნუნუ ოვსიანიკოვას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცებას მხარი დაუჭირა 53-მა, ხოლო წინააღმდეგ ხმა მისცა 1-მა წევრმა. 8 ბიულეტენი ბათილად იქნა მიჩნეული. (დანართი -- საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი)

მიღებული გადაწყვეტილება: ნუნუ ოვსიანიკოვა დამტკიცებულ იქნეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2016 წლის 30 სექტემბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- აბესაძე ნინო
- ბარბაქაძე ხათუნა

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი
- გაგელიძე ტარიელი
- ხუციშვილი სანდრო
- შვანგირაძე მათე
- შუბითიძე ვლადიმერი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა
- თევზაძე ალექსანდრე

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა
- ბასილაია ანანო
- ჩეკურაშვილი ნინო

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა
- გარიშვილი მარინა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- ონიანი თამარი
- ოქიტაშვილი გიორგი
- ართქმელაძე თორნიკე

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ქიტუაშვილი თინა
- ხოდელი ნოდარი
- ჩხაიძე ზურაბ

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა
- ტუკვაძე ავთანდილი

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი

- საბაური შალვა
- შევარდნაძე თორნიკე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე
- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა
- თოფურია სალომე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი
- შარაბიძე თამარი

სტუდენტები:

- ჯებაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა
- კეკუერაშვილი შოთა
- ჯავახაძე გიორგი

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

- ღარიბაშვილი ირაკლი

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

- სუმბაძე ციური

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

- ბაშელეიშვილი ლევანი

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

- ქადეიშვილი თორნიკე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

- მაჭავარიანი ნანა

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

- წაქაძე სევერიანი

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

- ხომერიკი გიორგი

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

- რუსიაშვილი გიორგი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

- იოსელიანი ხათუნა

კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

- ახალბედაშვილი ლალი

მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი

- ალანია ვიქტორი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

- რევიშვილი ზურაბი

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

- ხეცურიანი ნათელა

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

- ხუციშვილი მარინე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

- ნემსაძე ადა

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2016 წლის 30 სექტემბერი

- გიორგი შარვაშიძე
- ირმა ხარშილაძე
- ირინე ქურდაძე
- ნოდარ ბელქანია
- ამირან ბერძენიშვილი
- გიორგი ღვედაშვილი
- ომარ ფურთუხია
- თამარ აბაშიძე
- რუსუდან სანაძე
- ელგუჯა მექვაბიშვილი
- მარინე მინდორაშვილი
- ავთანდილ სილაგაძე
- პაატა იმნაძე

- ნინო ოკრიბელაშვილი
- დავით გოცირიძე
- აპოლონ სილაგაძემ
- აკაკი ყულიჯანიშვილი
- ვასილ გონაშვილი
- დავით კერესელიძე
- გია ლობჟანიძე
- ალექსანდრე კუხიანიძე
- ანასტასია ქიტიაშვილი
- მარინე ზაუტაშვილი
- ნათელა ანანიაშვილი
- ზურაბ ცაგარელი
- ავთანდილ ამირანაშვილი
- ერეკლე გამყრელიძე
- თამაზ ყარალაშვილი

- მურმან კვინიკაძე
- ნუგზარ შავლაყაძე
- ნოდარ ცინცაძე
- გაგა ლომიძე
- დავით მერკვილაძე
- მედეა ღლონტი
- გოჩა ფერაძე
- მამუკა ხუსკივაძე

დადგენილება №94/2016
02 სექტემბერი 2016

„ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 მარტის №40/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის მეორე ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის ევროპული კვლევების ინსტიტუტის 24.08.2016, №27690/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 მარტის №40/2013 დადგენილებაში:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

ბ) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის“ დებულება (დანართი №1).“

გ) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულება“.

დ) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ინსტიტუტს გააჩნია საკუთარი ლოგო და ბეჭედი.“

ე) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა
ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოებისგან - ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭო.‘‘
ზ) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედის ინსტიტუტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში მონაწილე თსუ-ს აკადემიური პერსონალი.‘‘
თ) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ‘‘ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
ი) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,მუხლი 6. ევროპისმცოდნეობის ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ცენტრი
ევროპისმცოდნეობის ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ცენტრი არის თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის შემდგენლობაში შექმნილი ცენტრი და მას ხელმძღვანელობს ცენტრის კოორდინატორი.‘‘
კ) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის მე-7 მუხლი ამოღებულ იქნეს.
ლ) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ‘‘ და ,,გ‘‘ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.
მ) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ‘‘ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,დ) დირექტორის ტექნიკური ასისტენტები;‘‘.
ნ) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ‘‘ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ვ) ევროპისმცოდნეობის ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ცენტრის კოორდინატორი‘‘

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დადგენილება № 95/2016
02 სექტემბერი 2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 01.09.2016, №28464/02 და თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 01.09.2016, №24/01/02-11-07 წერილების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მიენიჭოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი.
2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება

პრეამბულა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეიქმნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ბაზაზე, როგორც უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1979 წლის 31 აგვისტოს №45 გადაწყვეტილებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის 1980 წლის 9 ივნისის №263 ბრძანებულების შესაბამისად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით ეს სამეცნიერო ერთეული არსებობს, როგორც უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემები (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია:

ა) უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას.

ბ) განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მაღალი ენერგიების ფიზიკასა (თეორია და ექსპერიმენტი) და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, აწარმოოს საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა, შეასრულოს გამოყენებითი მიმართულების (მათ შორის საპროექტო და ტექნოლოგიური) სამუშაოები სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით.

2. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:
ა) ინსტიტუტის პროფილის ფარგლებში მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;
ბ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში და მონაწილეობს როგორც სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში;
გ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, ინსტიტუტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად;
დ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სტუდენტთა ლაბორატორიული სამუშაოების და სხვადასხვა სახის პრაქტიკის (საწარმოო და სხვ.) ინსტიტუტის ბაზაზე ჩატარებას.
3. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და ა.შ.).

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა
1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და მოადგილე/მოადგილეები, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისგან:
ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ა.ა) ექსპერიმენტული ფიზიკის განყოფილება;
ა.ბ) თეორიული ფიზიკის განყოფილება.
ბ) არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ბ.ა) ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო
1. ინსტიტუტის წარმომადგენლობითი ორგანოა სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო:
ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;
ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;
დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;
ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს, ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;
ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;
ზ) 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს თავისი შემადგენლობიდან ან ავალებს ინსტიტუტის სწავლულ მდივანს სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივნობას სათათბირო ხმის უფლებით;
თ) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თვმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;
ი) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო დოქტორად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერი;
კ) ირჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
ლ)უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
მ) ასრულებს კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა, როგორც წესი, იმართება 2 თვეში ერთხელ. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ დირექტორს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთ მესამედს დადგენილი წესით.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ

სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული ჯენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.

3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;

ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;

გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

დ)თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოადგენს საბჭოს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.

2. ინსტიტუტის დირექტორს ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.

3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.

5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტიანად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
დ) შეიმუშავებს და უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტის და საშტატო განრიგის პროექტს;
ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;
ვ) უზრუნველყოფს ინსტიტუტის სამეცნიერო ანგარიშის მომზადების საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;
ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;
თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;
ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების (რომელიც აკმაყოფილებს მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს) და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;
კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს, უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;
ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;
მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს მის მიერ განსაზღვრული დირექტორის მოადგილე.
9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.
10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ)გარდაცვალება;
ე) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:

ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი პერსპექტიული საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს სამეცნიერო–კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;

დ) შეიმუშავებს და განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;

ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურული ერთეულის თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან განთავისუფლების ან წახალისების საკითხს;

ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;

ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის/მოადგილეების, სამეცნიერო პერსონალისა (თანამდებობის) და სხვა პერსონალისაგან (სპეციალისტი, ლაბორანტი, ინჟინერი და ა.შ.).
2. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნებიან მეცნიერები და პოსტდოქტორანტები.
3. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:

ა) მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ბ) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

გ) მეცნიერ-თანამშრომელი.

4. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.
5. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის

წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;

დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;

დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

2. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. პირი მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობას უვადოდ იკავებს.

3. უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.
4. მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.
5. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
6. მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობების შესაბამისად.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №9.
2. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
3. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
ე) შემოწირულობები;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
4. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე დებულების ამოქმედების დროისთვის ინსტიტუტის არჩევითი თანამდებობის მქონე პირები - დირექტორი, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები და მეცნიერ-თანამშრომლები ჩაითვალონ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში მიღებულად არაუმეტეს ერთი წლის ვადით.
2. ინსტიტუტის არჩევითი თანამდებობის მქონე პირების საარჩევნო პროცედურები (კონკურსი, არჩევა/შერჩევა) დასრულდეს წინამდებარე დებულების ძალაში შესვლიდან 1 კალენდარული წლის ვადაში.

3. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის ატესტაცია ჩატარდეს არაუგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა. ატესტაციის შედეგს შესაძლოა წარმოადგენდეს იმ სამეცნიერო პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება, რომლის შრომითი ურთიერთობების ვადა არ ამოწურულა.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება № 96/2016

02 სექტემბერი 2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 01.09.2016, №28493/02 და თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 01.09.2016, №24/01/02-11-07 წერილების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მიენიჭოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი.

2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის

ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

დებულება

პრეამბულა

აკადემიკოს ილია ვეკუას ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 1966 წლის 11 აგვისტოს №810 ბრძანებით, ფიზიკური კიბერნეტიკის პრობლემური ლაბორატორიის გამომთვლელი მანქანების განყოფილების ბაზაზე შეიქმნა გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო–კვლევითი საპრობლემო ლაბორატორია, რომელიც საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1968 წლის 29 ოქტომბრის №12/447 გადაწყვეტილებით გარდაიქმნა უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტად. 1978 წელს ინსტიტუტს მიენიჭა მისი დამაარსებლის და პირველი დირექტორის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით ეს სამეცნიერო ერთეული არსებობს, როგორც უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული.

2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.

3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).

4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემები (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია:

ა) უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ეფექტიანად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას;

ბ) წარმოადგენდეს საუნივერსიტეტო ბაზას, მძლავრი კომპიუტერული უზრუნველყოფით, არა მარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, არამედ ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ,

სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, იურიდიულ, სამედიცინო მეცნიერებათა დარგებში უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ კვლევების ჩასატარებლად მათემატიკური მეთოდებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

2. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი, აგრეთვე, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება გამოყენებით მათემატიკაში, მექანიკაში და ინფორმატიკაში, გარდა ამისა, გამოყენებითი მიმართულების (მათ შორის საპროექტო და ტექნოლოგიური) სამუშაოების წარმოება სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით.

3. ინსტიტუტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:

ა) ინსტიტუტის პროფილის ფარგლებში მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;

ბ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში და მონაწილეობს როგორც სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში;

გ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, ინსტიტუტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად;

დ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სტუდენტთა ლაბორატორიული სამუშაოების და სხვადასხვა სახის პრაქტიკის (საწარმოო, სასწავლო და სხვ.) ინსტიტუტის ბაზაზე ჩატარებას;

ე) საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ფარგლებში, ახორციელებს ინსტიტუტისთვის არაპროფილური მიმართულებებით სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების მომზადებისას მათემატიკური მეთოდებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას;

ვ) უზრუნველყოფს ინსტიტუტში, მისი ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების დასაქმებას.

4. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ფორუმები, მისთვის დელეგირებული უფლებების ფარგლებში დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამების, სამეცნიერო გრანტების, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამების და ა.შ. ფარგლებში).

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და მოადგილე/მოადგილეები, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ა.ა) დრეკადობის და გარსთა თეორიის განყოფილება;
ა.ბ) გამოთვლითი მათემატიკისა და მოდელირების განყოფილება;
ა.გ) დიფერენციალური განტოლებების და ოპტიმალური მართვის განყოფილება;
ა.დ) კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების განყოფილება:
ა.ე) ფუნქციონალური ანალიზის და გამოყენებების განყოფილება;
ა.ვ) კომპლექსური ანალიზის და გამოყენებების განყოფილება;
ა.ზ) ალბათობის და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილება;
ა.თ) დისკრეტული მათემატიკის განყოფილება;
ა.ი) პროგრამირების განყოფილება;
ა.კ) პლაზმის ფიზიკის ლაბორატორია;
ბ) არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ბ.ა) სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განყოფილება.
2. სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი ერთეულის დებულებით, რომელსაც განიხილავს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და მოწონების შემთხვევაში ამტკიცებს დირექტორი.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის წარმომადგენლობითი ორგანოა სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები.

2. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;

ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;

ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს, ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;

ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;

ზ) 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს თავისი შემადგენლობიდან ან ავალებს ინსტიტუტის სწავლულ მდივანს სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივნობას სათათბირო ხმის უფლებით;

თ) სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თვმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;

ი) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო დოქტორად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერი;

კ) ირჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

ლ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;

მ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა, როგორც წესი, იმართება 2 თვეში ერთხელ. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ დირექტორს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთ მესამედს დადგენილი წესით.

5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.

6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული ჯენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.

3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;

ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;

გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.

2. ინსტიტუტის დირექტორს ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.

3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.

5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტიანად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტის და საშტატო განრიგის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს ინსტიტუტის სამეცნიერო ანგარიშის მომზადების საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალიდან დასანიშნად წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების (რომელიც აკმაყოფილებს მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს) და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;

კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს, უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;

ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

მ) ანხორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს მის მიერ განსაზღვრული დირექტორის მოადგილე.

9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სწავლულ მდივანს ან სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) გარდაცვალება;

ე) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.

2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი

ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.

3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:

ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი პერსპექტიული საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს სამეცნიერო–კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;

დ) შეიმუშავებს და განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;

ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურული ერთეულის თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან განთავისუფლების ან წახალისების საკითხს;

ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;

ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის/მოადგილეების, სწავლული მდივნის, სამეცნიერო პერსონალისა და სხვა პერსონალისაგან (სპეციალისტი, ლაბორანტი, ინჟინერი და ა.შ.).

2. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნებიან მეცნიერები და პოსტდოქტორანტები.

3. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:
ა) მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
ბ) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
გ) მეცნიერ-თანამშრომელი.

4. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.

5. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;

დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;

დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

2. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. პირი მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობას უვადოდ იკავებს.

3. უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.

4. მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.

5. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

6. მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობების შესაბამისად.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქ. №2.

2. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილ სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტიანად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.

3. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტი;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;

გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ე) შემოწირულობები;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.

4. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე დებულების ამოქმედების დროისთვის ინსტიტუტის არჩევითი თანამდებობის მქონე პირები - დირექტორი, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები და მეცნიერ-თანამშრომლები ჩაითვალონ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში მიღებულად არაუმეტეს ერთი წლის ვადით.

2. ინსტიტუტის არჩევითი თანამდებობის მქონე პირების საარჩევნო პროცედურები (კონკურსი, არჩევა/შერჩევა) დასრულდეს წინამდებარე დებულების ძალაში შესვლიდან 1 კალენდარული წლის ვადაში.

3. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის ატესტაცია ჩატარდეს არაუგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა. ატესტაციის შედეგს შესაძლოა წარმოადგენდეს იმ სამეცნიერო პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება, რომლის შრომითი ურთიერთობების ვადა არ ამოწურულა.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯაროდ გამოქვეყნების დღიდან.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

30 სექტემბერი, 2016 წ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცება

საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი

ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით	7	2
არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით	6	2
საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა	9	0
გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობა	6	2
გამოუყენებული ბიულეტენების რაოდენობა	2	8
გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა	0	0
საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა	6	2
კანდიდატ ნუნუ ოვსიანიკოვას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცების შესახებ ფარული კენჭისყრის შედეგები:		
1. დადებითი ხმების რაოდენობა	5	3
2. უარყოფითი ხმების რაოდენობა	0	1
ბათილი ბიულეტენების რაოდენობა	0	8

გვანცა ხასია	_____	კომისიის თავმჯდომარე
ნინო ქარქაშაძე	_____	კომისიის მდივანი
დავით გოგოლი	_____	წევრი

თამარ გურული		წევრი
თინათინ დავითაშვილი		წევრი
რუსუდან თავართქილაძე		წევრი
მანანა კაკაბაძე		წევრი
მარინე ტურაშვილი		წევრი
ნინო ჭალაგანიძე		წევრი

საარჩევნო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)